თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2023 წლის 18 იანვარი

ქ. თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, სსმ, სარეგისტრაციო კოდი: 010320010.35.126.016361, 14/12/2021 წ.), და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ბარათაშვილი**

დანართი 1

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

N	**თანამდებობის დასახელება**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1	**საკრებულოს თავმჯდომარე**	4961
2	**საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე**	3751
3	**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (2)**	3267
4	**საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე (5)**	2662
5	**საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე (3)**	2420
6	**საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე (7)**	1936

დანართი 2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

N	**პროფესიული საჯარო მოხელე**	შტატის ოდენობა	**რანგი**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**

1	აპარატის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	I	**2420**
2	საქმის წარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი -მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	II	1936
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	III	1573
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III	1573
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში	1	III	1452
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	III	1452
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო და საარქივო საკითხებში	1	III	1452
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1	III	1452
9	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	IV	1210